



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთანმინდა

მთანმინდა, მამადავითის მთა, მდებარეობს თბილისში, თრიალეთის შტოქედის, მთანმინდის უკიდურეს აღმ. ნაწილში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. სიმაღლე 8. დ. 720 მ. აგებულია ზედაეოცენური ქვიშაქვებითა და თიხებით. მისი ზედა ნაწილი წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ პლატოს. მთა შემოსილია ფიჭვის ხელოვნური ტყეებით, რ-საც დიდი რეკრეაციული დანიშნულება აქვს სახელწოდება მომდინარეობს ქრისტ. რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავანის - ათონის მთიდან. გადმოცემით მთის აღმ. კალთაზე სენაკი გამოუქვაბავს ერთ-ერთ ასურელ მამას - დავითს იხ. [დავით გარეჯელი](#). IX ს-ში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა, მის ადგილას 1542 ძმებმა ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებმა წმ. დავითის ეკლესია ააშენეს. ახლანდ. ეკლესია აგებულია 1871. აქვეა მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესია (1809). ტაძრის ეზოში 1929 დაარსდა ქართველ მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონი. XIX ს. დასაწყისამდე მ. ტყით იყო შემოსილი. ახლანდ. ტყე ხელოვნურია. პლატოზე გაშენებულია კულტურისა და დასვენების პარკი. მასზე ასვლა რამდენიმე სახის სატრანსპორტო გზითაა შესაძლებელი, რ-თა შორის განსაკუთრებით პოპულარულია ფუნიკულიორი და განახლებული საბაგრო გზა. მ-იდან მოჩანს თბილისის ხედი, კავკასიონის ქედი, მყინვარწვერი, საგურამო-იალნოს ქედი და ივრის ზეგანი.
